16. 10. 2019 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტს.

მოგესალმებით,

გაცნობებთ, ბათუმში, ფრ. ხალვაშის გამზირი №83-ში, ე.წ მეჯინისწყლის დასახლებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, ს/კოდი 05.32.08.394 (GPS-კოორდინატები: X-718711; Y-4609906) 2019 წლის იანვრის თვიდან ფუნქციონირებს შპს „საბა"-ს ს/კოდი 445555275, სამშენებლო მასალების, (საკედლე ბლოკები) დამამზადებელი საწარმო.

მიმდინარე პერიოდისათვის საწარმოს ტერიტორიაზე იგეგმება მცირე წარმადობის წიდის საფქვავი დანადგარის მოწყობა და ექსპლოატაციაში გაშვება, რომლის მაქსიმალური დატვირთვის პირობებში მისი საათური წარმადობა 1,5 $მ^3$ ხოლო წლიურად 210 $მ^3$ იქნება.

საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორია, რომლის ფართობი 600 $მ^2$-ია წარმოადგენს შპს „საბა"-ს კუთვნილებას და განთავსებულია ბათუმი-ხულოს ავტომაგისტრალის მომდებარედ და მანძილი ავტომაგისტრალსა და საწარმოს შორის 40 მეტრია, იმავდროულად დაშორება ახლომდებარე დასახლებული პუნქტიდან შეადგენს 50 მეტრს, ხოლო მანძილი შავ ზღვასა და საწარმოს შორის 6 კმ-ია.

მოცემულ ტერიტორიაზე დაგეგმილია და განთავსდება ერთი წიდის სამსხვრევი დანადგარი, აღჭურვილი ერთი ყბებიანი სამსხვრევი აგრეგატით, ერთი ცხავით (საცერი), ორი ლენტური ტრანსპორტიორით და მიმღები ბუნკერით. წიდის მსხვრევა იწარმოებს ერთჯერადად, მშრალი მეთოდით.

ობიექტზე წიდის შემოტანა მოხდება ავტოთვითმცლელებით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოკამში არსებული კარიერიდან. საწარმოში შემოტანილი წიდა განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ დახურულ საწყობში.

მავნე ნივთიერებათა ძირითადი სახეობა იქნება მტვერი, რომელიც გამოიყოფა წიდის სამსხვრევი აგრეგატზე წიდის გადამუშავების პროცესში. გარდა ამისა, მტვრის ატმოსფეროში გაფანტვა მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ინერტული მასალების (წიდის ნედლეულის და წიდის მზა პროდუქტის) ღია ცის ქვეშ არსებული საწყობებიდან.

№ 15140
23 10 2019

ჩატარებული გაანგარიშებით დადგენილი იქნა მტვრის სავარაუდო რაოდენობა, რომელიც გაიფრქვევა ატმოსფეროში მოცემული საწარმოს მუშაობის დროს, მისი რაოდენობაა 0,04 ტონა/წელიწადში, რაც 0,003 გრ/წამში იქნება.

საწარმოს წყალმომარაგება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული ჭაბურღილიდან. ზემოთხსენებული აგრეგატის მუშაობის დროს წყალი არ გამოიყენება, იმდენად, რამდენადაც წიდის გადამუშავება ხდება მშრალი მეთოდით, გამომდინარე აქედან ნახმარი წყლების წყალჩაშვებას ადგილი არ ექნება. რაც შეეხება ტერიტორიის მონარეცხ წყლებს მათი შეგროვება მოხდება სალექარ-დამაგროვებელში და ჩაიშვებიან ადგილის რელიეფში. რაც შეეხება ფეკალურ მასებს დაგროვდება ტერიტორიაზე მოწყობილ დამაგროვებელში (შამბოში) და რეგულარულად გაიტანება ტერიტორიიდან.

საწარმო განთავსებულია ბათუმი-ახალციხის ავტომაგისტრალის გასწვრივ, ე.წ სამრეწველო ზონის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე, გამომდინარე აქედან ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება არ მოხდება.

ამასთან, ერთად საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები. რაც შეეხება საწარმოო ხმაურს ასევე მინიმალურია და სავსებით დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მოთხოვნებების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას ექვემდებარება, თუ არა მოცემული საწარმო სკრინინგის პროცედურას.

პატივისცემით,

დირექტორი გურამ მეხეშიძე

ქ. ქუთაისი
ფ.ხ. ხოჯივნის ქუჩის 83
ჟურ. „სუნი" 4/3445555275
ოლიმპიადა ვოლეიბოლის
61002006802
ტ. 577 252919

საქართველოს ფოსტა
0100006124182
Georgian Post
საქართველოს ფოსტა
GEORGIAN POST

ქ. ანკორეჯი
ჟიჟგი ფეოფანეს 6
ბუნების ტაძრის ეკლესიის
ეკატერინეს (ანტონოვა